

საქართველოს კანონი

„საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე”

მუხლი 1. „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წელი, №21-22, მუხლი 463) მე-9 მუხლში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა. 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას შეიმუშავებს და ახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.“

ბ. 1^ა პუნქტი ამოღებულ იქნას.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.